თფილისი

„დროების“ რედაქცია—სიმონწონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს [illegible] ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი სეკტემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 4 მანათი.

ქ. გორში

საქალებო პროგიმნაზიის ახლო, სურთ მიიღონ შესანახავად სახლში, პროგიმნაზიის მოსწავლე ქალები.

მსურველთ შეუძლიანთ ჰკითხონ ივანე ბარამოვსა. (2—2)

გორის სასულიერო სასწავლებელში

შემოსვლის მსურველთ უნდა წარმოადგინონ მოწმობა ექიმისა მასზედა, რომელ მათ აქვთ აცრილი ყვავილი და ან უხდიათ იგი; რომელ მათგანსაც ამ გვარი მოწმობა არ ექნება, გაიგზავნება ასაცრელად და მიიღება სასწავლებელში, მხოლოდ აცრის შემდეგ. (2—1)

ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზიამ ქუთაისში.

მიიღო ყოველგვარი ქართული და რუსული წიგნები, რვეულები, დაფები და კანცელიარიული მასალები. (5—1)

## შინაური ქრონიკა.

— სიამოვნებით მივეგებებით განკარგულებას რკინის გზების გამგეობათა, რომლის ძალითაც სტუდენტებს რკინის გზებზედ მხოლოდ მეოთხედი ფასი გამოერთმევათ. ესეთი განკარგულება შეძლებას მისცემს ღარიბ სტუდენტებს წლიური შრომისა და ჯაფის შემდეგ თავიანთ სამშობლოში დაბრუნდენ ზაფხულობით და ახლად მოიკრიფონ ძალ-ღონე სწავლის გასაგრძელებლად. ჩვენის სტუდენტებისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, რადგან აქამდის ათასში ერთი თუ ახერხებდა ზაფხულობით შინ მოსვლას, თორემ დიდად მომეტებულ ნაწილს ოთხი-ხუთი წლიწადი ფეხ-გამოუდგმელად შორეულ ქალაქებში უნდა გაეტარებინა. კარგი იქმნებოდა ამ განკარგულებასთან ერთად ეცნობებინათ ყველა სტანციის უფროსებისათვის, რომ სტუდენტების მოწმობა საკმარისია შემცირებულ ფასად ბილეთის აღებისათვის. ახლა ზოგიერთ სტანციის უფროსებს კი ესმით ესა, მაგრამ სხვანი არ სჯერდებიან თურმე სტუდენტობის მოწმობას, უნივერსიტეტებისა და სხვა მაღალ სასწავლებელთაგან მიცემულს, და სხვა რაღაც მოწმობებს თხოულობენ. მაგალ. ამ დღეებში ერთისა და იმავე სტუდენტობის მოწმობით ქუთაისის სტანციის უფროსს კი მიუცია ფას-დაკლებული ბილეთი და ყვირილისა და ბელაგორისას კი არა.

— სწორედ სატანჯველი შეიქმნა უქმე-დღეობით რკინის გზით ქალაქში დაბრუნება. ბუნდი და გუნდი ქალაქიდამ «საპრაზნიკოდ» გასულთა ბრუნდება სალამოთი ქალაქში ძალზედ შექეიფიანებული და წარმოიდგინეთ მდგომარეობა ფხიზელი მგზავრებისა, რომელთაც უნდა ორი-სამი საათის განმავლობაში ისუნთქონ ღვინისა და არყის სუნით აყროლებული ჰაერი, უნებურად ყური უგდონ უმართებულო ხუმრობას და ლანძღვა-გინებას და ხანდისხან თავიანთ თავზედაც გამოსცადონ მათი უზდელობა.

ჩვენ ვიყავით მოწამე კვირა საღამოს შემდეგის სურათისა. ერთმა ლურჯ-ქაჯეტკიანმა მგზავრმა გააღო კარები პირველი კლასის კუპესი, რომელიც ხალხით გატენილი იყო და ერთი უშველებელი ძაღლი შეაგდო შიგ. თბილისამდე ისედაც სულ-შეხუთულ მგზავრებს უნდა აეტანათ ესეთი უსიამოვნო მეზობლობა. წარმოიდგინეთ, თუ რას უნდა სჩადიოდენ ეს ბაში-ბუზუკები მეორე და მესამე კლასში, ან რა უნდა ჰქნას ქალმა, რომელიც კი გაჰბედავს ჩვენს რკინის გზაზედ მარტო მოგზაურობას. ეს ლურჯ-ქაჯეტკიანი ბრძანებულა ერთი აღმზრდელთაგანი სარკინის-გზო სასწავლებლისა. ნეტავი მისგან აღზრდილებს!...

— ჩვენ შევიტყეთ, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის ერთს მასწავლებელს შეუდგენია ვრცელი მონოგრაფია მეთვრამეტე საუკუნის ერთს შესანიშნავს ისტორიულს მოღვაწეზე, სახელდობრ, ანტონ კათალიკოზზედ და ჟურნალ „ივერიისათვის“ გადაუცია დასაბეჭდად.

— ერთი ახალი სალიტერატურო ამბავიც: მოგეხსენებათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საუკეთესო მწერალთ თხზულებათა საერთოდ თავმოყრას და დაბეჭდვას ერთს ანუ რამდენსამე წიგნად. დღეს ჩვენ საუკეთესო მწერალთ შორის მხოლოდ ორიოდ-სამის თხზულებანი თუ არიან დაბეჭდილნი, თორემ დანარჩენი ნაწერები სხვა-და-სხვა ჟურნალებსა და გაზეთებშია გაბნეული. ქუთაისის წიგნის მაღაზიის პატრონს ბ. ვ. ჭილაძეს მოუწადინებია შეავსოს ეს ნაკლი ჩვენის მწერლობისა და დაჰბეჭდოს, როგორც «აკაკის» თხზულებათა კრებული, ისე ილია ჭავჭავაძის ნაწერები.

ამ სახით ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის გ. ერისთავის და გრ. ორბელიანის ნაწერებს მიემატება კიდევ აკაკისა და ი. ჭავჭავაძის ნაწერებიც და იმედია, ლიტერატურული კრიტიკა ამ გარემოებით, ცოტაც არის მაინც გამხნევდება და ფრთებს შეისხავს, თუ სხვა გარეშე რამ გარემოებამ არ შეაკვეცა.

— ქარელიდამ (გორის მაზრა) გვწერენ: „თუმცა დიდი შეღავათი მიეცა მთელს ხეობას იმით, რომ ბორანი გაიმართა მტკვარზედ და ქარელის სტანციიდამ ადვილი შეიქმნა მტკვარ-გაღმა მისვლა-მოსვლა, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ერთი, პირველ შეხედვით მცირე გარემოება ძრიელ აბრკოლებს ამ საქმეს და ვგონებთ ბორნის პატრონებმა მას ყურადღება უნდა მიაქციონ, როგორც თავიანთის საკუთარის, ისე მიმსვლელ-მომსვლელთ ინტერესისათვის: მტკვარს ბორნის აქედ-იქით მრავლად აქვს პატარ-პატარა ტოტები და ბორანს გასული კაცი ველარაფრით ვერ ახერხებს თითქმის გასვლას ამ ტოტებში, რადგანაც მათზედ არც ხიდები და არც უბრალო ხევები არ არის გადებული.“

— საჩივარს გვწერენ აგრეთვე სოფ. წევიდამ (შორაპნის მაზრა) იქაურს

## «დროების» ფელეტონი, აგვისტ. 28

### ეტიუდები „დედა-კაცის მწარე ხვედრიდგან“.

#### ცოლი.

— მიშველეთ, მიშველეთ! — მოგვესმა საშინელი კივილი მეზობლის სახლიდგან. ჩვენ საჩქაროდ შევცვივდით ამბის შესატყობლად და ის თქვენმა მტერმა დაინახოს, რაც სურათი ჩვენს თვალს წარმოუდგა. საწოლზედ ეგდო ყმაწვილი დედა-კაცი, თმა-გაწეწილი, კბილებ-დაკრეჭილი და სიკვდილის ბეჭდით პირი-სახეზედ. მისი ტანჯული პირი-სახის მეტყველება კაცს შეზარავდა და თრთოლას მოჰგვრიდა. ოთახის ერთ კუთხეში ოთხი პატარა ბალღი მიკუნჭულიყვნენ და საცოდავად ღნაოდენ: საწოლს თავს ადგა მოხუცი დედა-კაცი და ორთავე ხელებით თმებს იბდღვნიდა:

— შვილო, შვილო, ჩემო ტანჯულო, ჩემის ხელით მოკლულო შვილო!

მეორე კუთხეში კედელზედ მიეჰკლიტნა ერთ მხარ-ბეჭ განიერ ყმაწვილ კაცს გალექებული და ღვინისაგან გონება მიხდილი ყმაწვილივე კაცი.

— გამიშვი, — ბორბოქით ეუბნებოდა კედელზედ მიჭედილი: გამიშვი, შენი რა საქმეა. მე მინდა სუყველანი დავხოცო: ჩემი ოჯახია, შენ ვინა ხარ.

— კარგი, გაჩუმდი, საკმარია ისიც, ვინც მოჰკალ და ვინც ჯვარს აცვი ამ სოფლად.

— გამიშვით, — ღრიალებდა ლოთიბაში, — თორემ სულ დავამტვრევ აქაურობას, მაგრამ, რომ ნახა, ღონიერი ხელები თან-და-თან უფრო მაგრად აკრავდენ კედელს, მოჰყვა ტირილს, იწყო ხვეწნა: რას მერჩით, რას მერჩით, ღმერთი არა გაქვთ!

ვინ იყო მცხედარი? ვინ იყო მთვრალი, უგონო ბარბოქა, რომელიც ისე უსვინიდისოდ ღრიალებდა იქ, სადაც პირუტყვნიც კი ჰგრძნობენ უწესოების უალაგობას?

მცხედარი იყო საცოდავი სოფო, ოც-და-ხუთის წლის ყმაწვილი ქალი, რომელიც ასე უდროოდ გამოესალმა წუთის სოფელს. ეს იყო შვილი საცოდავი მოხუცისა, რომელიც თავს დასტიროდა და რომელიც ბრალს სდებდა თავის თავს შვილის მკვლელობაში და მართალიც იყო. ამან მოჰკლა თავისი ლამაზი, ცქრიალა სოფო იმ დღეს, როდესაც დაუფიქრებლად, მხოლოდ იმისათვის, რომ თავიდგან მოეშორებინა გასათხოვარი ქალი, მისცა გადამთიელ, უცხო ქვეყნელ, უცნობ კაცს. ამან მოჰკლა თავისი პირმშო შვილი მით, რომ, თვით სოფელში მცხოვრები, დახარბდა თავის სასიძოს ექვს თუმანს ჯამაგირს თვეში და ქალაქში ბინას დანარჩენი შვილებისათვის.

სოფოს არც ერთხელ არ ენახა თავისი საქმრო, როდესაც ძალათი გადასწერეს ჯვარი. ქორწილისვე ღამეს უგონოდ დაითრო ახალი მეფე, სოფოს მომავალი მეუღლე და ცხოვრებაში პირველ-ფეხის გადადგმისათანავე სოფიოს თავ-მოყვარეობა შეურაცხ-ჰყოფილ იქმნა. იმ დღიდამ ამ დღემდე, როდესაც იგი გაშეშებული სძევს ჩვენ წინ, ამის ცხოვრება იყო ერთი დაუბოლოვებელი და დაუსრულებელი გრეხილი მწუხარებისა და დედა-კაცის ზნეობით მიწასთან გასწორებისა. ცემა, გინება და ყოველგვარი დამცირება თავს აწვა მთელი რვა წლის განმავლობაში გამოუფხიზლებელი ლოთი ქმრისაგან. გამოწყვეტილი ტოლ-ამხანაგში, მოკლე-

ხიდი ეს, რომელიც მდ. ძირულაზედ არის გადებული. ხიდი, საცაა დაინგრევა და მთელი ექვსი-შვიდი სოფელი საშინელს მდგომარეობაში ჩავარდებაო. „იმედია ადგილობრივი ადმინისტრაცია მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას", — გვწერს კორესპონდენტი.

══ იქიდამვე გვატყობინებენ: «გათამამებულმა ღამის რაინდებმა არ მოიშალეს თავისი და ღამით ამოუცალეს მთლად ღვინო ქურში გლეხს გრიგოლა ფერაძეს. ამ საცოდავი გლეხის ტირილი და გოდება თითქმის ქვებსაც კი აატირებდა. გამწარებული გლეხი მოვიდა ამ სოფლის მ—თან და სთხოვა, რომ აჰყოლოდა სახლში წმინდა გიორგის ხატის წასვენებით და ხატზე გადაეცა ღვინის ქურდი. მ—მა ვაჭრობა დაუწყო და ვიდრე გულის შესაჯერი გასამრჯელო არ აიღო, მანამდის ფეხიც არ გაადგა.

ივნისში სოფ. იგოეთს ალავიძეებმა მოკლეს წეველი გლეხი სვიმონა ბელაშვილი; მკვლელები დღესაც დასეირნობენ; 20 ამ თვეს სოფ. ქდეეთში ღამით ავაზაკებმა საკუთარს სახლში დაჰკლეს აზნ. ქავთარაძე.

ამ აგვისტოს პირველ რიცხვებში ბაწრით თავი დაიხრჩო გლეხმა, მცხოვრებმა სოფ. სამებას, ზველესიანმა, მიზეზი არავინ იცის, რა იყო.

ამას გარდა, დღით, მარიამობას, არაფერი არ სტკიოდა ერთს გლეხს და ისე ზეზეულა მოკვდა; გლეხი მცხოვრებელია სოფ. შროშაში, გვარად ქავლაძე; ეს ამბავი მოხდა ძირულის სტანციაში და ყველა ძალიან შეშინდა: ვაი თუ ხოლერა იყოსო?!

══ სამტრედიიდამაც ავაზაკობას და კაცის მკვლელობას უჩივიან: ამას წინად — გვატყობინებენ იქიდამ — აქ მოვიდა ერთი კონსტანტინეპოლელი ვაჭარი ალექსი აფრემიდი, რომელსაც საიდგანაც გაუჩნდა ავაზაკი და დასჭრა. პროტოკოლები ბევრი შეაყენეს, მაგრამ ყაჩაღი კი ველარსად ვერ იპოვეს.

══ ბუშინ-წინ, კვირა ღამეს, გასაოცარი ქურდობა მოხდა თათრის მოედნის პირში. პილაც ბოროტ-განმზრახველნი შესულან ა-ლუთაშვილის შენობის სარდაფში, რომელიც არავის უჭირავს და ამის გამო მუდამ ღია არის, აქედამ აუგლეჯიათ ჭერი და მეორე სართულის ოთახში ასულან; ეს ოთახიც ცარიელია, მას ზედა აქვს მიშენებული სურგუნოვის დუქნები, იმ გვარად თითქო ეს დუქნები და ალუთაშვილის სახლი ერთი შენობაა. ხსენებული ოთახიდამაც აუგლეჯიათ ჭერი და ასულან სურგუნოვის დუქნებში, რომელნიც დერცკის გეურქ ბასინოვს უჭირავს ქირით და აქედამ დიდი-ძალი საქონელი გაუტანიათ იმავე გზით, საიდამაც ამოსულან. დანაკარგი ჯერ არ მოუყვანიათ ცნობაში, მაგრამ სულ საუკეთესო შალები დაურჩევიათ ქურდებს და ისინი წაუღიათ. კვირა-დღის გამო დუქანში არავინა ყოფილა. პატრონი ჰფიქრობს, რომ ქურდები შაბათ ღამეს უნდა ასულიყვნენ მის დუქანში და კვირას მთელი დღე იქ უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც დღისით შეუმჩნევლად ვერ გამოზიდავდენ სარდაფიდამ ნაქურდალსაო.

══ სომხურ გაზეთს „მელუს" სწერენ ბაქოდამ: ამას წინად სასამართლომ განიხილა პაპოვის საქმე, რომელიც სახაზინო პალატაში მსახურობს და რომლისთვისაც ერთს ჩინოვნიკთაგანს «არმიაშკა» დაუძახნია. ბრალდებულისთვის ორის კვირის ვადით ციხეში ჩაჯდომა გადაუწყვეტიათ.

## „დროების" კორესპონდენცია

—

**რაჭა**, მარიამობისთვის 21-ს. სწორედ ხან-გრძლივმა წვიმებმა ძლიან შეგვაწუხა რაჭველები. პირველ ამ თვის რიცხვიდამ მოყოლებული სულ უშხაპუნებს წვიმა ივლისში შეწუხებულს ნიადაგს. წელს პურის მოსავალი ჩვენში შარშანდლისას სჯობნის. არც სიმინდის და ღვინის მოსავალს ძლიან ნაკლებს, თუმცა ივლისში კი შეაწუხა სიცხემ ერთიც და მეორეც, ამ მხრით, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი მშრომელი, ბეჯითი ხალხის ოფლი ტყუილად არ იღვრება. მიწა კარგი მომცემია, მაგრამ მისმა სიმცირემ ძრიელ შეავიწროვა მცხოვრებნი. მიწის სივიწროვემ გააბედვინა იმოდენა რაჭველებს სალიგვერდაში (ალაგირის სტანიცა, ჩრდილოეთ კავკასიაში) გადასახლებულიყო, მაგრამ, იმ ანდაზისა არ იყოს - უის გავეყარე და ვაის შევეყარეო, სწორედ ისე მოუვიდათ. იმათი იმედები ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლების დროს არ გამართლდენ: უსასყიდლოდ მათ იქ ადგილი არ მიეცათ და უფრო დიდ სილატაკეში ჩაცვივდენ გადასახლებულები. ბევრი მათგანი ისევ ძველ სამშობლოში დაბრუნდა. ასე ხალხი თან-და-თან მრავლდება და ამასთან ადგილის სიცოტავეც პროპორციონალურად მატულობს. დროა, ავად თუ კარგად გადასწყდეს ეს საქმე.

ბონებითად გაუმჯობესობისათვის, როგორც მოგეხსენებათ, რაჭაში სკოლები გახლავთ, მაგრამ ისინი, ჩვენდა სამწუხაროდ და თქვენდა არა-სასიამოვნოდაც, ძალიან ჰრიან მოკლებულნი ხალხის აღმზრდელობით მნიშვნელობას...

აქაური სკოლები მანამ ვერ მიაღწევენ თავის პირველ მიზანს რიგიანი წერა-კითხვის გავრცელებისას ხალხში--ვინემ მათში არ იქნებიან სემინარიაში მომზადებული მასწავლებლები და პედაგოგიურად არ წავა საქმე. ვისურვებთ, რომ ახალი მაზრის უფროსის ხელში მაინც გვღირსებოდეს ჩვენც რიგიანი სკოლები.

**დ. ონ**ში ჩვენი მაზრისათვის ამ თვეში მოგვივიდა ნასწავლი რუსის ბებია. ონშივე გვყავს რაჭველებს ერთი დოქტორი, მაგრამ ეს ფელდშერი ცოტა რომ ხშირად გვეწვეოდეს და დაგვხედავდეს ხოლმე, უფრო კარგი იქნებაო—ამბობენ თურმე სოფლელები.

ერთი-ორი თვე იქნება, რაც ქვემო-რაჭის ხალხი მაზრის უფროსის ბრძანებით ეზიდება ხეებს სოფ. წერს ხიდი-ჯვარში ახალი ხიდისათვის. ხეები ბლომად მიუტანიათ გლეხებს ამ ხიდის გასაკეთებლად...

ხ.....

## უცხოეთი.

—

**ეგვიპტე.** როგორც გაზეთებიდგან ვტყობულობთ, ინგლისს და აბისინიას ერთმანეთში დაუდვიათ ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც აბისინიის მეფე იოანეს, სხვათა შორის, აღუთქვამს თავის ჯარების გაგზავნა ქ. კასალის მისაშველებლად, რომელიც აჯანყებულების რაზმებით გარემოცულია, და ინგლისსაც, სამაგიეროდ, აღუთქვამს ხსენებული მეფისათვის ზოგიერთა ეგვიპტის ადგილების დათმობა. ეს ხელ-შეკრულობა ინგლისს დაუდვია აბისინიასთან ეგვიპტის მმართებლობის დაუკითხავად და, რასაკვირველია, ამ უკანასკნელს ძლიერ სწყენია ინგლისის ამ გვარი მოქმედება.

კაიროდგან იწერებიან გაზეთებში, რომ ჯერ-ჯერობით არავითარი ნაყოფი არა გამოულია-რა ამ ხელ-შეკრულობას. მეფე იოანეს არც კი უფიქრია ჯარების გაგზავნა კასალისკენ, რომელსაც ჯერაც ისევ გარს არტყია მტერი. ამასთანავე იმ გარემოებასაც, რომ ინგლისი დაჰპირებია აბისინიას ზოგიერთა ეგვიპტის ადგილების დათმობას, სამწუხარო შედეგი მოჰყოლია: კასალის ოლქის დიდებულნი და შეიხები, რომელნიც ერთგულად ემსახურებოდენ ეგვიპტის ხედივს, მაშინათვე მაჰდის მხარეზე გადასულან, რამწამს

---

ბული ყველას, რასაც კი საზოგადოების სახელი ჰქვიან, ტყვესავით ემსახურებოდა თავის შემძენს.

ბევრჯელ შესტირა დედას თავისი უბედურება, ბევრჯელ მოინდომა სახლიდგან გაქცევა, მაგრამ სად წავიდოდა, ან დედა რას უშველიდა! სად ჰქონდა მომზადება დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის და რას უნუგეშებდა ღარიბი დედა?

— რა ვქნათ, შვილო, რომ გცემს, ქმარია... მოითმინე. შვილები გყავს...

და აი ითმინა, ითმინა საცოდავმა სოფიომ და მივიდა იმ დღემდე, როდესაც ბევრმა მოთმინებამ სულ გაანადგურა ამის ზნეობაც და გვამიც და საშინელმა სენმა — სიჭლექემ ლოგინად ჩააგდო.

მტირალი ბავშვები ჩაჩუმდენ. მთვრალი კაცი სკამზე ჩამოჯდა და ხვრინვა ამოუშვა. მწუხარე დედამ შემდეგი გვიამბო:

ორი კვირაა დღეს — რაც უბედური სულთ-მობძავია. ყოველ წამს ძმრით ვაბრუნებდი. ეგ ულვთო, — მიიშვირა ხელი მხვრინავზე — ამ ბოლოს დროს უფრო გადაირია. აქამომდე მარტო საღამოობით ითვრებოდა — «სამსახურში» არ შემიტყონო და ეხლა კი აღარ გააჩნია აღარც დღე და აღარც ღამე, ყოველ წამს გაბორბოჭებულია, დღეს ხომ სულ ჭკუიდგან შეიშალა. აღარ დააცალა, რომ უბედურის შვილს ღვთის ნაბოძები სული ღვთისთვისვე მიებარებინა. ამ ერთი საათის წინად უფროს შვილს წიხლით დაუწყო ცემა. ავადმყოფს შიშით გული შემოეყარა. მე წივილ-კივილი შევქენ, მეზობლები მომეშველნენ და რის ვაი-ვაგლახით მოვაბრუნეთ. თვალები გაახილა თუ არა დედა-მკვდარმა, ქმარს საყვედურით გადახედა და, ცრემლებით სავსე თვალებით, ეხვეწებოდა, რომ ცოტას ხანს მოესვენებინა: დამაცალე, სული ამოვიდეს, დამაცალე!

სუყველამ ყვედრება დავუწყეთ. როგორ თუ ჩემ სახლში დარიგებას მაძლევთო, დაავლო სკამს ხელი და დამკრა თავში. სოფომ უკანასკნელი ღონე იხმარა, ლოგინზე წამოჯდა და ხელებს ჩემკენ იშვერდა, თითქო ჩემი შველა უნდოდა საცოდავს.

— ჰა, შენ კიდევ ცოცხალი ხარ? აღარ აპირობ გამგზავრებას? — დაიღრიალა საშინლად და სკამი ახლა იმას დასცხო. იმან ერთი გაიფართხალა და სული განუტევა. მერე დაერია შვილებს და, ეგ მადლიანი კაცი რომ არ შემოგვესწრებოდა, ვინ იცის, სადამდინ მიაღწევდა მაგის გამხეცება.

—

მეორე დღეს პოლიცია მოვიდა, გამოიძია, „აკტი" შეადგინა და წავიდა. ოჯახის თავმა „გამოსათხიზებლად" კიდევ დალია. შვილებსა სცემა, მერე დასამშვიდებლად ფაეტონში ჩასხა და სიმღერით და ღრიანცელით გაისეირნა.

---

## ქალი.

ჩვიდმეტის წლის ყმაწვილ ქალს სალომეს ალტაცებით შეუყვარდა ოცდა შვიდის წლის ყმაწვილი კაცი. სალომე იდეალურად თაყვანს სცემდა თავის გულის მჯლობელს და არც ერთის სიტყვით არ განუცხადებია თავისი ალტაცება. მაგრამ სიყვარული ისეთი შუბია, რომლის წვერიც ძნელად დაიმალება ტომარაში, და ანტონმა მალე შეამჩნია ყმაწვილ ქალს თავისადმი თაყვანის ცემა და სულ სხვა ნაირად დაუწყო ლაპარაკი. ანტონი სალომეს ყოველთვის მაცდურივით უქებდა სიმშვენიერეს, ჭკუას, მახვილ — გონიერებას, მაგრამ მომეტებულად უფრო — სიმშვენიერეს.

— თქვენი თვალები ცეცხლს უკიდებენ კაცის გულს და ჰხიბლავენ გონებას, — აღგზნებულის ხმით ეუბნებოდა იგი სალომეს, — თქვენს ბუნებას ისეთი ანდამატი აქვს, რომელსაც, რაც უნდა ძალა იხმარო, დიდის ხნით ვერ მოშორდები. — თქვენი ხმა კაცს სმენას უტკბობს. თქვენი სიტყვები გულს უთბობს.

სალომე პირველში გაჯავრდა ამ

შეუტყვიათ, რომ მათი მხარე აბისინიის საკუთრებად უნდა გახდეს. აგრეთვე სხვა დათმობილი ადგილების მცხოვრებლებსაც არ უნდათ თურმე აბისინიის დამორჩილება და აშკარად დაუწყიათ ამბოხება. აბისინიის მეფის ვიღაც სასტიკი და ფიცხი სარდალი, რას-ალულა, შესევია ამ საცოდავს მხარეს და დაუნდობლად ჟლეტს თურმე ურჩს მცხოვრებლებს. მაჰდის ქასალის მაზრის ემირად ვიღაც შეიხ მდრისი დაუნიშნავს.

## ბიბლიოგრაფია

ანატომია კაცისა, გარდმოკეთებული ალ. ცხვედაძისაგან, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ფასი 15 კაპ.

ბ. ალ. ცხვედაძეს, ავტორს ამ პატარა ბროშიურისას, განუზრახავს ჩინებული საქმე: ასწავლოს ხალხს, რომელმაც, ავტორის სიტყვით, «თავის თავზედ სრულებით არაფერი არ იცის და არცა-რა გაეგება-რა», ბუნების მეცნიერება, განსაკუთრებით ანატომია, რათა ხალხმა იმის მაგიერად, რომ ყოველ უბრალო ავადმყოფობის დროს მკითხავთან იაროს და თავის ავადმყოფი თელეთისკენ გააქანოს, იცნას თავი თვისი და შეიძლოს მოვლა მეცნიერების წესზედ. საქმე მით უფრო ადვილი იყო ავტორისათვის, რომ, როგორც იგი წინა-სიტყვაობაში გვაუწყებს, რვა წელიწადია, რაც ხალხში სცხოვრობს და მრავალი ანატომიური ტერმინები თვით ხალხისაგან შეუძენია.

უნდა მართალი ვსთქვათ, რომ ის საგანი, რომელიც ავტორს ამოურჩევია თავის ბროშიურისათვის, თუმცა დიდ ღირს-საცნობია და საფუძველიც ადამიანის აგებულების გასაცნობად, მაგრამ მარტოკა, ფიზიოლოგიასთან და ჰიგიენასთან დაუკავშირებლად, იგი მეტად მძიმე საკითხავია არამცთუ უბრალო ხალხისათვის, ანატომიის შესასწავლად განმზადებულთვისაც. ამ გარემოებას კიდევ ის ემატება, რომ გამომცემელს მეტად ძვირად სჩვენებია სურათების ჩართობა და ვეღარ ჩაურთვია, თუმცა მეორე გამოცემისთვის გვპირდება სურათების ჩამატებასაც და თვით გამოცემის გაუმჯობესობასაც. სურათების უქონლობის მიუხედავად, ტექსტში რამდენსამე ადგილს შეხვდებით იმისთანას, სადაც უხილავ სურათებზეა მითითებული და ეს დაუდევრობა არ უნდა ეპატიოს გამომცემელს. წიგნში მოკლედ არის გარდმოცემული მთელი ანატომია გარდა საშვილოსნო ორგანოებისა, მაგრამ სამწუხაროდ ისეთის მშრალის ენით, იმდენი შეცდომებია მასში, ისეთი ომი გამოუცხადებია კორექტორს დასვენების ნიშნებისათვის და მრავალგან კიდეც გაუდევნია ამ წიგნიდამ, რომ მისი კითხვა ძალიან მომთმენს კაცსაც გაუჭირდება.

წაიკითხეთ მაგ. ეს ადგილი:

„ადამიანს ზემოთა და ქვემოთ ყბაში უსხედს 32 კბილი, თითო ყბაში 16 კბილები, სამ გვარი წინა საკბეჩი კბილები, რიცხვით 8 სათხლე კბილები ანუ ეშვები, რომლებიც აქვთ ყბების გვერდებზედ 2 წვეტიანი და მრგვალი, რომლებსაც ეშვებს ვეძახით, 10 გვერდების კბილებია“... ვიდრე ამას წავიკითხავდით, ვიცოდით, რომ სრულს ადამიანს თითო ყბაში თექვსმეტ-თექვსმეტი კბილი აქვს; მათ შორის ოთხი წინა-კბილი (საკბეჩი), ორი წვეტიანი (ეშვი) და ათიც უკანა-კბილი, მაგრამ ამ ერთი-ერთმანეთთან უმეცრად გადაბმულ ფრაზების წაკითხვის შემდეგ, საშიშია ისიც არ დაგვავიწყდეს, რაც ვიცოდით, არამცთუ ახალი ცოდნა შევიძინოთ რამე.

მაშ ერთი რჩევა უნდა მივცეთ ამ წიგნის გამომცემელს. თუ უპრიანა ღმერთმა და ეს წიგნი გაიყიდა, მეორე გამოცემით ნულარ შეიწუხებს თავს, ვიდრე მისი წიგნი რიგიანს და მცოდნე გადამთვალიერებელს არ იშოვის, ვიდრე სურათების ამოჭრა არ გაიაფდება და ანატომიას თან ფიზიოლოგიასაც არ მოჰყვება.

## სხვა-და-სხვა ამბავი

— ჰაერში მავალი სფერა (воздушный шаръ) ახალი სისტემისა. აგვისტოს 9-ს, სამხედრო სამინისტროს აეროსტატულ სამუშაო სახლში სცადეს ახალი სისტემის ჰაერში მავალი სფერა. ჰაერის ხომალდი თავის ფორმით სიგარასა ჰგავს; უკან საჭე (руль) და ბორბალი აქვს. შიგნით გამართულია მაშინა საჭეს და ბორბლის სატრიალებლად. ხომალდი ქარხნის ახლო მდებარე პატარა ველიდგან აუშვეს. იგი მთას ასცილდა და დაიწყო ტრიალი. იმის დანახვით კაცი გაოცდებოდა. პირველად აღმოსავლეთისკენ წავიდა გაჭენებული ცხენის სიჩქარით, მერე, ორთქლით-მატარებელივით, მოტრიალდა დასავლეთისაკენ და მივიდა იმ ადგილამდინ, საიდგანაც აუშვეს სფერა და ნელ-ნელა დაეშო ძირს. ორივე ჰაერში მცურავნი: კაპიტანი რენარი და მისი თანაშემწე არტურ კრემსი, რომელთაც ექვსი წელიწადი იშრომეს ამ სფერის გამოგონებაზე, დიდი ტაშის კვრით მიიღეს. შემდეგშიაც უნდათ ამ სფერით ჰაერში მოგზაურობა სცადონ. პარიჟის გაზეთები სიამაყით ლაპარაკობენ ამ ფაქტზე და ამბობენ, რომ ის საქმე, რომელიც ყველას ოცნებად მიაჩნდა, დღეს სრულიად გადაწყვეტილია.

— ეხლახანს საფრანგეთში მოუგონიათ უცნაური საშუალება, რომლის შემწეობითაც მწერლებს შეუძლიანთ თავიანთ თხზულებებისთვის შინაარსი მოიპოვონ. საფრანგეთის ახალგაზრდა პოეტი დიუმენი გაზეთით სთხოვს საზოგადოდ ყველას გაუგზავნონ მას შესანიშნავი ფაქტები თავიანთი ცხოვრებიდამ. იმ პირთ, რომელთ თავგადასავალიც ამას კომედიის შინაარსად გამოადგება, დიუმენი ჰპირდება 1000 ფრანკს; იმათთვის, რომელნიც თავიანთ უბედურობათა აღწერით დრამისთვის მასალას მისცემენ, 2000 ფრანკის აქვს დანიშნული.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

აგვისტოს 26-ს

პეტერბურგი. გუშინ საღამოზედ ხელმწიფე იმპერატორი წავიდა ვარშავას; თან გაჰყვა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე. გზაზედ მისი იმპერატორებითი დიდებულება რამდენსამე ხანს შეჩერდება ვილნოში, სადაც ჯარებს დაათვალიერებს; ვარშავას ორშაბათს მივა.

მმართებლობითი უწყება: ზოგიერთა დადგენილობათა გამო ყოველთა სომეხთა პატრიარხის ამორჩევის შესახებ და აგრეთვე იმისგამო, რომ წარმოდგენილნი არიან დასამტკიცებლად, სამის მაგიერ, ორი კანდიდატი, ამ წლის მაისის თვეში ეჩმიაძინში მომხდენილი პატრიარხის ამორჩევა განონიერად არ იცნა და უმაღლესად ებძანა ეჩმიაძინის სინოდს გაუგზავნოს ამის შესახებ უწყებითი გრამატები ყოველთ რუსეთის და საზღვარ-გარეთელ სომეხთა ეპარქიათა, რათა გამოგზავნონ დეპუტატები ახალი ამორჩევის მოსახდენად.

«სანკ-პეტერბურგის უწყებანი» იწერებიან, რომ გზათა სამინისტროს დაბოლოვებით შეუმუშავებია პროექტი იმის შესახებ, თუ საით უნდა გაიაროს ციმბირის რკინის გზამ. სამინისტრო წინააღმდეგია ამ გზის სამარაზედ, უფაზედ და ეკატერინობურგზე გატარებისა.

«ჟურნალ დე სან-პეტერბურ» იუწყება, რომ მიღებულია საშუა-

---

გვარ სიტყვებზედ, ამისმა უმანკო გულმა ინსტინქტურად იგრძნო ამ სიტყვების უზნეობა, მაგრამ გრძნობამ უმუხთლა. ის, რაც აშფოთებდა გონებას, თითქო განგებ გულს ატკბობდა და ამშვიდებდა. გონება აგონებდა სალომეს, რომ ყმაწვილი კაცი, რომელიც თაყვანს სცემს ყმაწვილ ქალს, უკეთესად უნდა ეპყრობოდეს იმის ნდობას და გულწრფელობას და გული კი თხოულობდა აღმაგზნებელ სიტყვებს, ტკბილს, ტკბილს სიტყვებს. პირველში სალომე და ანტონ შეხვდებოდენ ხოლმე ერთმანერთს სხვის სახლში, ქუჩაში, კლუბში, საზოგადო ბალებში და სხვაგან, ცოტას ხნიბით და ამათი ურთიერთისადმი თანაგრძნობა განშორების გამო ისეთის ძლიერებით არ იჩენდა თავს, მაგრამ, საუბედუროდ, სალომე გაიწვია თავის დამ, რომელიც გათხოვილი იყო იმ სოფელში, სადაც ანტონი ზაფხულობით სცხოვრებდა. აქ სალომე და ანტონ განუყრელნი შეიქმნენ. სალომეს და გაკეთებულის ოჯახის შვილს და „ნასწავლ“ ანტონს საუკეთესო საქმროდ სთვლიდა თავისი უმზითვო დისთვის და ამისათვის სრულ თავისუფლებას აძლევდა ერთმანეთთან დაახლოვებლად. დილიდგან საღამომდე დაბურულ ტყეში, მჩქეფარე წყლის პირას, დამკრახულ ყურძნის ხეივნებ ქვეშ, ხელი-ხელ გაყრილი დადიოდენ და სტკბებოდენ სიცოცხლით. სალომეს გონება სრულიად დაჩლუნგდა.— გრძნობა გამეფდა მთელს იმის არსებაში. იგი ჰხედავდა მხოლოდ ანტონის ანთებულ თვალებს, ისმენდა მხოლოდ ანტონის მხურვალე სიტყვებს, გრძნობდა მხოლოდ იმის გულის ძგერას და სიახლოვეს. მშვენიერი ბუნება თითქო ბანს ეუბნებოდა სალომეს ტრფობას მოსიყვარულე და სალომეს სიამოვნებით შეჰყურებდა მომავალ მეფე-დედოფალს, ანტონი განუწყვეტლივ ჩასჩურჩულებდა საკვდილამდე სიყვარულს და ერთგულობას. ბუნებამ, კაცმა და სიყმაწვილემ პირობა შეჰკრეს ერთმანეთთან, რომ სალომე დაეღუპნათ.

მალე გაირბინა ზაფხულმა. ანტონ ქალაქში დაბრუნდა. განშორების საღამოს ყმაწვილმა კაცმა სალომეს სახლობას განუცხადა რომ დღეიდგან ჩასთვალონ სალომეს საქმროდ და გაუჩინდა.

მას აქეთია, სალომე მოდის და მოსტირის თავის ბედის წერას. სატრფომ უღალატა. ბუნებამ სიყვარულის ნაცვლად უძღვნა საჩუქარი, რომელსაც ყოველი დედა-კაცი ძვირფას საჩუქრადა სთვლის, მაგრამ კაცობრიობას სხვა-და-სხვა სასტიკი კანონების გამო, ეს საჩუქარი სალომესთვის წუთი—სოფლის მომწამვლელად შეიქმნა. ამის გულისათვის ეს გამოიცხეს ოჯახიდგან ძმებმა, თვით იმ დამაც კი, რომელიც ისე ხელს უმართავდა მისს სიყვარულს, ცხვირ წინ კარები მიუკეტა პირ-მუცელ-მოდგმულს. საზოგადოებამ უარ-ჰყო დედა-კაცი, რომელიც მიენდო სიყვარულს, შეაჩვენა იგი და პირი შეაქცია. რა ექმნა საწყალ ქალს, რომელსაც ამისთანა ტვირთი აწვა? მშობელი არ ჰყავდა, რომ იმას გულს მიჰკროდა და, იმის სითბოთი გამთბარს, აეტანა საშინელი კაცთ-ღალატობა. ის არ იყო გმირი, რომ დედამიწასთან გასწორებული თვისი ოცნება ხელ-ახლად აღედგინა, ის ამირანი არ იყო რომ ცრუ-მორწმუნების ჯაჭვები მიემსხვრივ-მოემსხვრია და ცხოვრებისთვის ისევ პირნათლად შეეხედნა და თავი მისცა იმ ცხოვრების ტალღებს, რომელთაც მრავალნი და ძალიან მრავალნი შავს უფსკრულში ჩაუყურყუმელავებიათ.

ეკ. გაბაშვილისა.

აგვისტოს 15-ს.

ლებანი ჩინეთის ყოველ პორტებში რუსების სიცოცხლის და ქონების დასაცველად და უსაფუძვლოა ის შიში, ვითომც ფუ-ჩე-ეს ზარბაზნების დაშენის დროს მათ ვნებოდეთ რამე, ამისათვის, რომ ზარბაზნებს ესროდენ არსენალს და არა ქალაქს.

**კიევი.** გუშინ სამოსამართლო პალატაში ირჩევოდა ბერდიჩევის ცირკის ცეცხლის-წაკიდების საქმე; ბრალი ედებათ ამ საქმეში: არხიტექტორს, პოლიცმეისტერს, ორს პრისტავს და ორსაც ცირკის პატრონს; ერთი უკანასკნელთაგანი სადღაც გადაკარგულია.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** გუშინ სავაჭრო დროშები ჩამოუშვეს; დღეს ვაჭარი ხალხი პატივსცემს გუბერნატორს პერ-მარილით; ვალების გადახდა გვარიანად მიდის.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე ვარშავაში წასვლას აგვისტოს 25 ინებებს; თან გაჰყვებიან: დედოფალი, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდნი მთავარნი: ვლადიმირი, გიორგი ალექსანდრეს-ძენი და ნიკოლოოზ ნიკოლოოზის-ძე უფროსი.

**ვილნო.** ხელმწიფე, დედოფალი, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდნი მთავარნი: ვლადიმირ, გიორგი ალექსანდრეს-ძენი და ნიკოლოოზ ნიკოლოოზის-ძე უფროსი მოვიდენ დღეს დილით 10 საათზე და 45 წამზე; მოვიდენ აგრეთვე სასახლის და სამხედრო მინისტრები, გენერალ-ადიუტანტნი რიხტერი და ჩერევინი და სხვა პირნი; ქალაქი მდიდრულად არის მორთული; მცხოვრებლები აღტაცებით ეგებებიან უავგვისტოეს სტუმართა.

**ტიან-ძინი.** ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს 11 წევრთაგანი 6 დაითხოვეს სამსახურიდგან, რადგანაც საფრანგეთთან მშვიდობიანად მორიგებას ამჯობინებენ; ყველა იმათ, ვინც იტყვის საფრანგეთს ჯარიმა გადავუხადოთო, მმართებლობა დასჯას ემუქრება.

**ბერნი.** შვეიცარიის საკავშირო რჩევამ, ანარხისტთა აგიტაციის გამო, მოიწვია კანტონების მმართებლობანი, რათა იხმარონ საშუალებანი საზოგადო უშიშროების დასაცველად.

**პეტერბურგი.** როგორც ისმის, დამტკიცებულ იქმნა, რომ გაგრძელდეს იმიერ-კასპიის რკინის გზა ყიზილ-არვატიდამ ასხაბადამდე; ფული კიდეც გადადებულია. მუშაობა ენკენისთვეში დაიწყობა.

აგვისტოს 27-ს.

**ვილნო.** ჯართ-დახედვის გათავებისათანავე ხემწიფე იმპერატორმა ინება დაბრუნება სასახლეში, რომლის დიდს დარბაზში, საერო და სამხედრო მთავრობის წარმომადგენელთ მიღების შემდეგ, უმაღლესი საუზმე იყო მომზადებული. სასაუზმოდ მოპატიჟებულთ შორის იყვნენ: მთავარეპისკოპოსი ლიტვისა ალექსანდრე, ეპისკოპოსი კოვნოსი სერგეი და კათოლიკეების ეპისკოპოზი გრინევეცკი. შემდეგ ხემწიფემ ინახულა ზოგიერთა სასწავლებელნი და დედოფლითურთ ამალის თანხლებით წაბძანდა ვარშავას 4 საათზე და 20 მინუტზე სრულის თავისუფლებით; ამასთანავე მრავალისაგან მრავალი ხალხი დიდის წესიერებით იქცეოდა. სალამოზე ქალაქი ჩირაღდნით იყო განათებული.

## ცნობანი

XOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXO

დოქტორი რეიხი ხელ-ახლავ მიიღებს **თვალებით ავადმყოფებს** აგვისტოს 15-დამ (ძველი არსენალის ქუჩა № 17) დილის 9—10 საათზე. (6—6)

OXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOXOX

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—სახირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | 2 |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

**ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, რადგანაც პირველი ვაჭრობა, დანიშნული, ბანკის [illegible] შემოუტანლობისაგამო, ამა წლის 18 მარიამობის თვის რიცხვისათვის, არ შესდგა,—ამის გამო ხსენებულის ბანკის თბილისელთა მოვალეთა მამულები, ქვემო მოყვანილნი, ისყიდებიან, საზოგადო ვაჭრობით, ქ. თბილისს, თბილისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის სადგომში, 4 სექტემბერს ამავე წლისა, დღისით 12 საათზე.

ქონიევისა, გრიგოლი ბეჟანის-ძის: 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ოლგას ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, მაღაზიებით და მიწით 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 16,566 მან. 53 კაპ., შესავსები გადასახადი 1753 მ. 72 კ. სულ—18,320 მ. 25 კაპ.

ბიჩიკოვისა, სალომე ტატოსის ასულის: 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, მთაწმინდის ქვეშ, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის ფლიგელი და მიწა 88 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,748 მან. 99 კაპ., შესავ. გადასახადი 293 მან. 35 კაპ. სულ—4,042 მან. 34 კაპ.

სტეპერენკოსი, პელაგია კონდრატის ასულის: 1 განყოფილებაში, 1 ვერის ნაწილში ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და აბანოით და მიწა 350 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 11,940 მან. 12 კაპ., შესავ. გადას. 1,439 მან. 34 კაპ. სულ—13,379 მ. 46 კაპ. (1—1)

## ინგლისის მაღაზია
### Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—57)

## კბილის ექიმი
### ბ. არნშტეინი

მიიღებს ავადმყოფებს დილით 10-საათიდამ სალამოს 6-ს საათამდე გოლოვინის პროსპექტზედ, მირზოევის სახლში, რომელიც უწინ ბელოისა იყო. (10—8)

*Доз. ценз. Тифлисъ, 27 Августа 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი